



# უნივერსიტეტის საერთაშორისო დაკავშირების მსახურის განყოფილება

შპს "საერთაშორისო  
დაკავშირების  
მსახური"

და

საერთაშორისო უნივერსიტეტის  
საერთაშორისო  
დაკავშირების განყოფილება

საქართველო

### **მუხლი 1. ზოგადი დებულებანი**

ერთი მხრივ სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია (შემდგომში აკადემია) და მეორე მხრივ შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი (შემდგომში უნივერსიტეტი), ამ მემორანდუმის გაფორმებით გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის სურვილს და თანხმდებიან ითანამშრომლონ თანასწორუფლებიანობის პრინციპისა და ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებით.

### **მუხლი 2. მიზანი**

აკადემიასა და უნივერსიტეტს შორის მემორანდუმის გაფორმების მიზანია, ხელი შეუწყონ უნივერსიტეტის სტუდენტებისა და აკადემიის იუნკერების მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალებად ჩამოყალიბებას, მათი პიროვნული პოტენციალის რეალიზაციას, პატრიოტული სულისკვეთების გაძლიერებას, პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენასა და განვითარებას, აგრეთვე პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას.

### **მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები**

მემორანდუმის მიზნებიდან გამომდინარე ურთიერთთანამშრომლობით მხარეები უფლებამოსილნი არიან:


- ა) შეიმუშაონ და განახორციელონ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები;
- ბ) ორგანიზება გაუწიონ ერთობლივ ლექცია-სემინარების ჩატარებას;
- გ) განახორციელონ მოკლევადიანი პროფესიული განვითარების პროგრამები;
- დ) ხელი შეუწყონ პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას;
- ე) ითანამშრომლონ ბიბლიოთეკის საკითხებთან დაკავშირებით;
- ვ) განახორციელონ სტუდენტთა და იუნკერთა ერთობლივი გასვლითი საველე ტრენინგები აკადემიის სასწავლო ბაზაზე.
- ზ) განახორციელონ იუნკერთა და სტუდენტთა თეორიული და პრაქტიკული ტრენინგები უნივერსიტეტის სასწავლო ბაზაზე.

#### მუხლი 4. პასუხისმგებლობა

ეს მემორანდუმი დაფუძნებულია კეთილ ნებაზე, მას არ აქვს იურიდიულად სავალდებულო ხასიათი და არ ითვალისწინებს რაიმე ფინანსურ ვალდებულებას მხარეთა ურთიერთთანამშრომლობის პროცესში.

#### მუხლი 5. გარდამავალი დებულებები

1. ცალკეული ღონისძიებების ჩატარება და სხვა სახის ერთობლივი მოქმედების განხორციელების რეგულირება მოხდება მხარეებს შორის შემდგომი მოლაპარაკების შესაბამისად, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე;
2. ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოითხოვოს მემორანდუმის გაუქმება მეორე მხარისთვის 30 (ოცდაათი) დღით ადრე, წერილობითი შეთანხმების საფუძველზე;
3. ამ მემორანდუმის გაუქმების შემდეგ მხარეებმა მათი შესაძლებლობის ფარგლებში უნდა განახორციელონ ყველა აუცილებელი ღონისძიება მემორანდუმის ფარგლებში უკვე დაწყებული პროექტების დასასრულებლად;
4. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ძალაშია ორი წლის განმავლობაში, მისი ხელმოწერის დღიდან. აღნიშნული მემორანდუმის ვადა შესაძლოა გაგრძელდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.



პროფ. დოქტ. ილიას ჩილოძე

შპს შავი ზღვის საერთაშორისო  
უნივერსიტეტი



ვიცე-პოლკოვნიკი ვასილ კოშვიკინი

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის  
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი